



№ \_\_\_\_\_

01.06. 2022 წ.

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის**

**ბრძანება № 12**

**„საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ დამტკიცების შესახებ**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლასთან ერთად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2021 წლის 15 მარტის №14 ბრძანება.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერიდან.

**უნივერსიტეტის დამფუძნებლის  
სრულუფლებიანი წარმომადგენელი**

**ბოლბელი მთავარეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მეუფე**



**საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები**

## შინაარსი

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება .....	6
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.....	7
დაინტერესებული პირების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში .....	7
სამიზნე ნიშნულები .....	8
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი .....	9
პროგრამის შემუშავების წესი.....	9
პროგრამის სახელწოდება.....	10
განათლების საფეხური.....	11
მისანიჭებელი კვალიფიკაცია .....	11
სწავლების ენა .....	11
პროგრამის ხელმძღვანელი.....	11
პროგრამის მიზნები .....	11
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა	12
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა.....	13
პროგრამის სწავლის შედეგები .....	14
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები .....	15
პროგრამით გათვალისწინებულმა სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. სწავლებისა და სწავლის მეთოდების მითითებისას მიზანშეწონილია შესაბამისი სფეროს/დეტალური სფეროს სპეციფიკის გათვალისწინება.....	15
შეფასების მეთოდები .....	15
სტუდენტების მიღწევების შეფასების წესი .....	16
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა .....	17
დასაქმების სფეროები .....	17
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი .....	17
პროგრამის სასწავლო გეგმა.....	18

სწავლის შედეგების რუკა .....	18
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი .....	18
საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები .....	21
საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების პროცედურები .....	22
საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება .....	23
საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება .....	23

## **პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესების ზოგადი მიმოხილვა**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის სტრატეგიული პრიორიტეტია ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და მათ უწყვეტ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის პროცესის სწორად დაგეგმვა სამუშაო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის განსაზღვრა შესაბამისი პრიორიტეტებით - შრომის ბაზრის მოთხოვნები, დაინტერესებული მხარეების საჭიროებები, შესაბამისი დარგის და განათლების სფეროს უახლესი მიღწევები, უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის მოთხოვნები, საერთაშორისო და ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლების და, საკუთრივ ქართულ უნივერსიტეტში დაგროვილი გამოცდილება და სხვ. წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესი და მეთოდოლოგია, თავმოყრილია და განხილულია პროგრამის შინაარსის სწორად ჩამოსაყალიბებლად საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რეკომენდაციები. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში ჩართული პირებისთვის. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს.

## **საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება**

ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა ხორციელდება უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული მიმართულებებს შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება განპირობებული იქნეს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტით, შრომის ბაზრის ანალიზით, დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზით და/ან სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებით.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას ახდენს სკოლის დეკანი ან რექტორი.

დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი უფლებამოსილია მოახდინოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინიცირება და დადგენილი წესის შესაბამისად შემუშავების შემდეგ, დაამტკიცოს აღნიშნული პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების შემთხვევაში, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ან რექტორის ბრძანებით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი. თუ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას ახდენს სკოლის დეკანი, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება გამოიცემა შესაბამისად, დეკანის მიმართვის საფუძველზე.

## **საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის განსაზღვრისას, პროგრამის შემუშავებელმა ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი დოკუმენტები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები“;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/6 ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“; უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში) და სარეკომენდაციო დოკუმენტები;

ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინენტის და აკადემიური და მონვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული დარგობრივი მახასიათებელი, ასევე, საერთაშორისო დარგობრივი მახასიათებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები (საუკეთესო პრაქტიკა);

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რეკომენდაციები.

## **დაინტერესებული პირების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში**

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ.

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი საბჭო (შემდგომში - საბჭო), რომლის შემადგენლობაში შედიან:

- ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
- ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- გ) სტუდენტი/სტუდენტები;
- დ) კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;
- ე) როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
- ვ) პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- ზ) შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- თ) უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
- ი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
- კ) სხვა წევრი/წევრები.

უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობაში უცხოელი სპეციალისტის ყოფნა სავალდებულოა.

საბჭოს საქმიანობისას ადმინისტრაციული მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს სკოლის/უნივერსიტეტის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ან უნივერსიტეტის რექტორი, სკოლის დეკანის წარდგინებით. საბჭოს წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ.

### **სამიზნე ნიშნულები**

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას „სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების განსაზღვრის წესით“ დადგენილი მოთხვენები ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.



## საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ისე მონვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით.

სწავლების ერთ საფეხურზე ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას. გადამწყვეტილება გამოწვევის შესახებ შეიძლება მიიღოს უნივერსიტეტის რექტორმა, სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესს და პასუხისმგებელია ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფაზე (დაგეგმვა, განხორციელება, განვითარება), სააჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივ კოორდინაციაშია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, მეცნიერებთან. პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოზიდვას. პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს პროგრამის ყოველწლიურ ანგარიშს.

ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის შესაბამის სკოლასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი. შიდა შეფასების შედეგები ეცნობება პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

## პროგრამის შემუშავების წესი

საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და შესაბამისი კვალიფიკაციის კოდი.
- სწავლების ენა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა
- სტრუქტურა, კრედიტებით მოცულობა და მათი განაწილება, სწავლის ხანგრძლივობა

- პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები
- პროგრამის მიზნები
- პროგრამის სწავლის შედეგები
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები
- შეფასების მეთოდები
- სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი
- სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა
- დასაქმების სფეროები
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით (შენობის/შენობების მისამართი, აუდიტორიების, ლაბორატორიების და ა.შ. ჩამონათვალი, შესაბამისი ტექნიკის ჩამონათვალი, საბიბლიოთეკო რესურსების აღწერილობა, ელექტრონული რესურსების აღწერილობა, პროგრამის პროფილის შესაბამისი ელექტრონული პროგრამების აღწერილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვ.);
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის კომპონენტების მიხედვით)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა დამატებით ინფორმაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ასევე, განვითარების ეტაპზე, მნიშვნელოვანია, გარდა პროგრამის სტრუქტურაში შემავალი თითოეული საკითხის სწორად წარმოდგენისა, უზრუნველყოფილი იქნას ლოგიკური კავშირი მათ შორის. ასევე სწორად უნდა იქნას გააზრებული შესაძლო კავშირი უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან.

### **პროგრამის სახელწოდება**

პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაში უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან. პროგრამის სახელწოდება შესაძლებელია არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას, ამასთან, არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი.

## **განათლების საფეხური**

განათლების საფეხური შეიძლება იყოს - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა ან დოქტორანტურა. მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამისთვის განათლების საფეხური არ მიეთითება.

## **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდი და დასახელება შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

## **სწავლების ენა**

საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. სწავლების ენის ნაწილში საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება შესაბამისი ენა.

საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენაზე განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულს ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ასევე დასაშვებია, რომ ქართულ ენაზე განხორციელებულ პროგრამაში არსებობდეს უცხოენოვანი კომპონენტი/კომპონენტები.

## **პროგრამის ხელმძღვანელი**

პროგრამის ხელმძღვანელის ნაწილში უნდა მიეთითოს პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ვინაობა, დაკავებული თანამდებობა და აკადემიური ხარისხი.

## **პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზნებში ნათლად და კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს, რა წვლილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამას დარგის და საზოგადოების განვითარებაში, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირების მომზადებისაკენ არის იგი მიმართული.

მიზნები შესაბამისობაში უნდა იყოს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებთან, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან. გათვალისწინებული უნდა იყოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); მიზნები უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი.

## **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს პირის მზაობის შემოწმებას, აითვისოს საგანმანათლებლო პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და უნდა ითვალისწინებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ყველა შესაძლებლობას.

ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვის წესი: საქართველოში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საბაკალავრო პროგრამის დაშვების წინაპირობის განსაზღვრისას, პროგრამაში შეიძლება მიეთითოს არჩევითი საგანი/საგნები ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, ხოლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მითითება სავალდებულოც იყოს.

პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გათვალისწინება ერთიანი ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებულ სავალდებულო/არჩევით საგანში/საგნებში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი: საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მობილობა: საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა: საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, კონკრეტული ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე [sangu.edu.ge](http://sangu.edu.ge).

შესაძლებელია, არსებობდეს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად, უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე, სამაგისტრო პროგრამისათვის, თუ რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.).

უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი სასწავლო რესურსების გამოყენების შემთხვევაში (თუ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშივე არ ხდება შესაბამისი კომპეტენციის განვითარება), პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს შესაბამისი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა**

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უნდა ჩამოყალიბდეს იმ სახით, რომ უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

პროგრამის ხანგრძლივობა დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის და შინაარსის გათვალისწინებით.

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;

გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.

თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და

თავისუფალი კომპონენტები, ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.

საბაკალავრო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს არჩევითობა, პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა, ასევე, ითვალისწინებდეს პრაქტიკულ კომპონენტსაც.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.

## **პროგრამის სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე და აღწერს მისი შინაარსის გათვალისწინებით განსავითარებელ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ყალიბდება დარგის სპეციფიკის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიით დასაქმების სფეროების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში, გარდა აკადემიური და მონვეული სპეციალისტებისა, მონაწილეობენ პროგრამის დარგობრივი საბჭოს წევრები.

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი შესაბამისი აკადემიური განათლების საფეხურისათვის გათვალისწინებული კომპეტენციები და დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში), როგორც ათვლის წერტილი.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტულად, იყოს გამომავალი, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, სასურველია, გამოყენებული იქნეს საგანმანათლებლო მიზნების ბლუმის ტაქსონომია.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იძლეოდეს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. ამ მიზნით, გარდა დარგობრივი ცოდნისა, პროგრამის შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს სხვა აუცილებელი ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარებას (უცხო ენის განსაზღვრული დონე და სხვა).

### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

პროგრამით გათვალისწინებულმა სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. სწავლებისა და სწავლის მეთოდების მითითებისას მიზანშეწონილია შესაბამისი სფეროს/დეტალური სფეროს სპეციფიკის გათვალისწინება.

### **შეფასების მეთოდები**

საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადად მიმოხილული უნდა იქნეს პროგრამის კომპონენტებში გამოყენებული შეფასების მეთოდები. პროგრამის კომპონენტების დონეზე, სილაბუსში, გარდა მეთოდებისა, აუცილებლად უნდა იქნა მოცემული ინფორმაცია შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ. ამასთან, შეფასების მეთოდები დგინდება პროგრამის კომპონენტების დონეზე, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და აისახება შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) და სხვ.);

შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

### **სტუდენტების მიღწევების შეფასების წესი**

კრედიტის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტის მინიჭება უნდა განხორციელდეს ერთი სემესტრის ფარგლებში. დაუშვებელია შესაბამისი კრედიტის გაყოფა და მისი ნაწილ-ნაწილ მინიჭება.

დისერტაცია და სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სასწავლო კურსში სტუდენტის შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამს. მათ შორის, შუალედურ შეფასებას ეთმობა 60-70, ხოლო დასკვნით შეფასებას - 30-40 ქულა.

სასწავლო კურსის განმხორციელებელი ლექტორი ვალდებულია, სტუდენტის შეფასებები რეგულარულად ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში..

საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიალი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

„(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“ შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე ვერ



მიიღო დადებითი შეფასება, მაგრამ შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 41-50-ს, უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება დისერტაციის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნითი შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება შუალედური შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, მათი ხვედრითი წილი შეფასების საერთო სისტემაში. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება დადგინდეს შეფასების განსხვავებული სისტემა/მინიმალური კომპეტენციის ზღვრები შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის.

სამეცნიერო კომპონენტების - სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვის და შეფასების ინსტრუქცია, ხოლო სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასება ხორციელდება შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

### **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს, რა მიმართულებით/მიმართულებებით შეუძლია სწავლის გაგრძელება პროგრამის კურსდამთავრებულს, პროგრამის შინაარსის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

### **დასაქმების სფეროები**

საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმების სფერო აღინერება პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით და მისი მიზანია, განისაზღვროს სავარაუდო სფეროები, სადაც თვალსაჩინოა, რომ შესაბამისი კომპეტენციის კადრებზე მოთხოვნა არსებობს.

### **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი**

საგანმანათლებლო პროგრამაში აღინერება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამაში, გარდა ზოგადად საუნივერსიტეტო რესურსებისა, უნდა აისახოს სპეციფიკური

რესურსი, რაც აუცილებელია უშუალოდ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

### **პროგრამის სასწავლო გეგმა**

პროგრამის სასწავლო გეგმა ყალიბდება სასწავლო კურსის, მასზე დაშვების წინაპირობის, საფარაუდო განხორციელების პერიოდის და შესაბამისი განმხორციელებელი ადამიანური რესურსის მითითებით. სარეკომენდაციო ფორმა იხილეთ დანართი № 1-ში.

საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის სასწავლო გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სასწავლო გეგმის განხორციელების თავისებურების შესახებ.

### **სწავლის შედეგების რუკა**

სწავლის შედეგების რუკა ასახავს თითოეული სწავლის შედეგზე გასასვლელად სასწავლო კურსების საჭირო კომბინაციას. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ყალიბდება დანართი №2-ის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ აკრედიტაციის სახელმძღვანელოში.

### **პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

პროგრამაში უნდა აღინეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესის შესაბამისად. შეფასების პროცესი ითვალისწინებს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას, შესაბამისი მონაცემების შეგროვებას და მათ გაანალიზებას.

სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული სისტემა და პერიოდულობა უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაში, დარგის სპეციფიკის შესაბამისად.

უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით.

სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები; სტუდენტთა მიერ შესრულებული ნამუშევრების შეფასება და ანალიზი; სტუდენტთა პორტფოლიოს შეფასება; სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები; სტუდენტთა ქულები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და მათი კორელაცია უნივერსიტეტში მიღებულ შეფასებებთან; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის, პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი; დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; სტუდენტების რეიტინგული სისტემა; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებელი კურიკულუმს გარე აქტივობებში

(მათი შინაარსის შესაბამისად: სტუდენტური სამეცნიერო და სხვა სახის აქტივობები); სტუდენტთა სტიპენდიები და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ, სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, ასევე, უზრუნველყოფილია სპეციალური კომისიების მუშაობით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესის შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს აკადემიური და მონვეული პერსონალის კონსულტირებას სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ და მათ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის განსაზღვრის წესი:**

პროგრამულ დონეზე სწავლის თითოეული შედეგის შეფასების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში განისაზღვრება:

- პროგრამის ის კონკრეტული კომპონენტი/კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურებას - სტუდენტთა მხრიდან შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევის დემონსტრირებას;
- შესაბამის კომპონენტში შეფასების ფორმები, კონკრეტული შეფასების მეთოდები და მტკიცებულებები (სტუდენტის მიერ შესრულებული წერილობითი ნამუშევარი, რეფერატი, რეფლექსია და სხვა.), რომლებიც უზრუნველყოფენ სილაბუსით გათვალისწინებული შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურებას;
- სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა, რომელიც აკონკრეტებს, კომისიის მიერ განსახორციელებელ სამუშაოს, სწავლის შედეგის სპეციფიკის გათვალისწინებით. მათ შორის, გარდა წყაროების დამუშავებისა, შესაძლებელია განისაზღვროს სტუდენტებთან გასაუბრების, დისკუსიის/სხვა სახის ღონისძიების გამართვის და მასში მონაწილეობის პროცესში სტუდენტებზე დაკვირვების აუცილებლობა და სხვა;
- სამიზნე ნიშნული თითოეული სწავლის შედეგისთვის, სადაც აღიწერება, საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის დონის სასურველი პროცენტული განაწილება შემდეგი დონეების მიხედვით: მაღალი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი.

სპეციალური კომისიის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება უნდა განხორციელდეს აღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად გათვალისწინებული ყველა კომპონენტის

განხორციელების შემდეგ, რაც გამომდინარეობს შესაბამისი დარგის სპეციფიკიდან. ამ მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში განისაზღვრება თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის რეკომენდებული საანგარიშო პერიოდი.

სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, ქართული უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის დეკანი რექტორის წინაშე წარდგინებით განისაზღვრავს კომისიის წევრებს და ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან შეთანხმების შემდეგ წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით.

კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას და შესაბამისი დარგის სპეციალისტები. გარდა საგანმანათლებლო პროგრამის განმხორციელებელი პერსონალისა, შესაძლებელია, კომისიაში შედიოდნენ დამსაქმებლები და დარგის პროფესიონალები. კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით (პროგრამაში გათვალისწინებული მიმართულება/დარგები/ქვედარგები და კონკრეტული სწავლის შედეგები).

კომისიის მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერით უნდა უზრუნველყოს შესაბამისი წყაროებიდან საჭირო მონაცემების შეგროვება და კომისიის წევრებისთვის მიწოდება.

სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, კომისია აყალიბებს სტუდენტთა საკონტროლო ჯგუფს. ამასთან, კომისია უფლებამოსილია, სწავლის შედეგის შეფასების მიზნით განსაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები, შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები და გაატაროს სხვა აუცილებელი ღონისძიებები, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. კომისია მუშაობის შედეგებს წარმოადგენს ამ წესის დანართი №4-ით გათვალისწინებული ფორმით.

კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია, უზრუნველყოს სტუდენტების უკუგება, რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური ახდენს კომისიის მუშაობის შედეგად წარმოდგენილი შედეგების მონიტორინგს და მის სამიზნე ნიშნულებთან დადარებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად უნდა დაედოს პროგრამის მოდიფიცირებას.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დართული სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებული უნდა იყოს:

- ზოგადი ინფორმაცია სასწავლო კურსის შესახებ
- სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები
- სასწავლო კურსის განმახორციელებელი
- სტუდენტის დატვირთვა
- სასწავლო კურსის მიზნები
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგები
- სწავლა-სწავლების მეთოდები
- სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა
- სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები
- სასწავლო კურსის შინაარსი (სასწავლო გეგმა)
- სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა

სასწავლო კურსის სილაბუსებში სტუდენტის დატვირთვა ადეკვატურად უნდა იყოს განსაზღვრული და საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის ჯამი უტოლდებოდეს კრედიტების რაოდენობის შესაბამის საათებს.

სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები უნდა იყოს კურსის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისი.

სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები და ათვისების თანმიმდევრობა უნდა განისაზღვროს ლოგიკურად.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

## **საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი**

პროგრამა შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მონვეული პერსონალით, ასევე, სამეცნიერო პერსონალით.

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა) და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას.

მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.

უცხოენოვანი კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის შემთხვევაში დამატებით დგინდება უცხოური ენის ცოდნა. უცხოური ენის ცოდნა შეიძლება დადგინდეს შემდეგი გზით: უცხოური ენის არანაკლებ C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატი, ან უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, ან გრძელვადიანი მივლინება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (არანაკლებ ერთი სასწავლო სემესტრისა); სასწავლო კურსის/საჯარო ლექციების წაკითხვა უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან საჯარო ლექციის წაკითხვა, მოხსენების გაკეთება უცხოურ ენაზე და სხვ.

### **საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები**

განსაზღვრული წესით პროგრამის ჩამოყალიბების შემდეგ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური ამზადებს დასკვნას, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. პროგრამის დადებითად შეფასების შემთხვევაში იგი წარედგინება სკოლის საბჭოს. შენიშვნების შემთხვევაში პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ ხდება პროგრამის გადახედვა და გასწორება.

სკოლის საბჭოს, საგანმანათლებლო პროგრამას წარუდგენს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი წარმოადგენს შესაბამის დასკვნას.

სკოლის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მიღების შემდეგ, იგი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. შესაბამისი დამტკიცების აქტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

## **საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება**

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემდეგ, დადგენილი პერიოდულობით მისი განხორციელების შეფასების/სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, რომელიც მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ.

პროგრამაში ცვლილებებს განაპირობებს: პროგრამის შეფასება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და დარგის სპეციალისტების მხრიდან; შესაბამისი დარგის სიახლე, ავტორიზაციის ექსპერტთა და/ან ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან გამოთქმული შენიშვნები/რეკომენდაციები; აკრედიტაციის ექსპერტთა და/ან საბჭოს მხრიდან გამოთქმული შენიშვნები/რეკომენდაციები და ა.შ. შესაბამისი პროცედურები და წესები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესით.

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია როგორც სემესტრის დაწყებამდე პერიოდში, ისე სხვა ნებისმიერ დროს, ცვლილების ძალაში შესვლის შესახებ კონკრეტული პერიოდის მითითებით.

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიმუშავებს შესაბამის პროექტს, რომელშიც აღინიშნება ცვლილების არსი, აუცილებლობა და მოსალოდნელი შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების პროექტი წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროექტის თაობაზე დასკვნის მომზადებას. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ცვლილებები განიხილება სკოლის საბჭოზე და საბოლოოდ, დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორის.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი, შესაბამისი რეკომენდაციებით, უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს.

თითოეული ცვლილების განხორციელების შემდეგ, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის კოდიფიცირება და უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირებისთვის მისი ხელმისაწვდომობა.

## **საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება**

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გაუქმდეს, თუ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას ან კანონმდებლობის

მოთხოვნებს ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის პროგრამის განხორციელებას. პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნივერსიტეტი ასევე ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს (პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით), პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ხორციელდება მისი დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.



კურიკულუმის რუკა

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5
ა	1		1		1
ბ					
გ	2				2
დ			2		2
ე	3				3

1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება

**დანართი -1**

**სასწავლო გეგმა**

პროგრამის კომპონენტი	დაშვების წინაპირობა	სტატუსი	კომპონენტის განმახორციელებელი	შემოდგომ ა <sup>1</sup>	გაზაფხულ ი

---

<sup>1</sup> სემესტრების ველში მიეთითება შესაბამისი პროგრამის კომპონენტის კრედიტები.